**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იოანე ბედიელი

იოანე ბედიელი, ბედიის მთავარეპისკოპოსი XI ს. II ნახევარში. ჰქონდა სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერი) საეკლ. წოდება. 1065, როდესაც ბაგრატ IV-ის ასული მარიამი (მართა) ცოლად გაჰყვა ბიზანტ. იმპერატორის – კონსტანტინე X დუკას ვაჟს მიხეილს (შემდგომში იმპ. მიხეილ VII), კონსტანტინოპოლში ჩასულ ქართვ. ბიზანტიის მომავალ დედოფალს თან ახლდა სამეფო დელეგაცია: პეტრე პატრიკი, ი. ბ. და „სხუაჲ ერი ფრიადი".

*წყარო*: გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1994.

*ლიტ.*: კ უ დ ა ვ ა ბ., იოანე ჭყონდიდელი (XI საუკუნის ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის), «არტანუჯი», 1994, N 2–3.

***ბ. კუდავა***